


coda


coda
მიმართულებები

პროდუქციის კატალოგი



კოდას პროდუქცია

კომპანია **SAS**-ის პროდუქცია სავაჭრო ნიშნით **კოდა** მოიცავს ყველა კულტურისთვის საჭირო კვებისა და სტიმულაციის პროდუქტებს.

კოდას მიმართულებები, რომლებიც წარმოდგენილია მოცემულ კატალოგში აერთიანებს მდგრად, მაღალი ეფექტურობის სასუქებსა და სტიმულატორებს განკუთვნილს ტექნიკური სოფლის მეურნეობისთვის.


კოდა მოიცავს პროდუქციას რომელიც აუმჯობესებს ნიადაგისა და სარწყავი წყლის ხარისხს, აძლიერებს თესვის გაღვივებას, ხელს უწყობს ფესვთა სისტემის განვითარებას, მოქმედებს საკვები ელემენტების დეფიციტის აღმოფხვრაზე და ანიჭებს მცენარეს დამატებით ენერჯიას განვითარების ყველა ეტაპზე. ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ რომ მივიღოთ მაქსიმალური მოსავალი ნიადაგისა და კლიმატის არახელსაყრელ პირობებშიც კი.

კოდას პროდუქციის წარმოებისთვის ვიყენებთ უმაღლესი ხარისხის ნედლეულს, უპირატესობა ენიჭება ბუნებრივი წარმოშობის არატოქსიკურ ნედლეულს, რადგანაც უსაფრთხოება და პროდუქციის მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოადგენს კომპანიის პრიორიტეტს. კვლევისა და განვითარების პლატფორმის NOBA-ს გამოყენებით კომპანია მუდმივად ცდილობს რეალობად აქციოს თავისი მომხმარებლის მოთხოვნები პროდუქციაზე და უზრუნველყოს წარმოების პროცესის გამჭვირვალობა.


შევიძლიათ კონსულტაცია გაიაროთ ჩვენს ტექნიკოსებთან, რათა გაარკვიოთ რომელი პროდუქციის გამოყენება იქნება მორგებული თქვენს კულტურასა და გარემო პირობებზე. მაქსიმალური მოგების მისაღებად შემოგთავაზებთ სტიმულაციის პროგრამებს მორგებულს თქვენს კულტურაზე.

კოდას მიერ წარმოებული ყველა პროდუქტი არის ეკომეგობრული, რომელიც ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი სოფლის მეურნეობის წარმოებას. სპეციალურად შექმნილი სტიმულატორები ამცირებენ გამოსაყენებელი სასუქების რაოდენობას, რომელსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ატმოსფეროში CO₂ -ის ემისიაზე, ნიადაგისა და წყლის დაბინძურებაზე და აგრეთვე უარყოფითი ზეგავლენა აქვს ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნებაზე.

კოდას სავაჭრო ნიშნის ქვეშ იწარმოება 100 %-ით ორგანული პროდუქცია, რომლებიც კატალოგში აღნიშნულია შემდეგი სიმბოლოთი



ხარისხის ეტალონი



შეფუთვის ნიმუშები
(თხევალდი პრეპარატებისთვის)

შეფუთვის ნიმუშები
(მყარი პრეპარატებისთვის)

ხარისხის კონტროლი დაბორატორიისა და წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილია. კომპანია SAS სერტიფიცირებულია ISO 9001 ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მიერ, გარდა ამისა კომპანიაში დანერგულია გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა ISO 14001 და შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის OHSAS 18001 სისტემა. კომპანიას აგრეთვე მიღებული აქვს UNE 19601 სერტიფიკატი დანაშაულის პრევენციისთვის და RD 506/201 სასუქების წარმოება და რეალიზაციის სერტიფიკატი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოითხოვოს პროდუქციის სერტიფიკატები. გარდა ამისა, ჩვენ შემოვიღეთ ევროპული სტანდარტი SG E21 ეთიკური და სოციალურად პასუხისმგებელი მართვის სისტემის აუდიტისა და სერტიფიცირებისთვის, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვაფინოთ და შევაფასოთ კომპანიის მიერ გარემოზე ზემოქმედება მისი მართვისა და მინიმუმაციის მიზნით. კომპანია მუდმივად ცდილობს იპოვოს ახალი გზები წარმოების პროცესების გაუმჯობესების მიზნით, რეაგირებს ყველა შეუსაბამობაზე და უზრუნველყოფს მის ეფექტურ გადაჭრას.





კომპანია SAS-ის შესახებ

კომპანია SAS (SUSTAINABLE AGRO SOLUTIONS) წარმოადგენს წამყვან კომპანიას ეკომეგობრული სასუქებისა და სტიმულატორების წარმოებაში.

კომპანია დაარსდა 1989 წელს ქ.დეიდაში (ესპანეთი), სოფლის მეურნეობის წარმოების, სამხრეთ ევროპის, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონში. დღესდღეობით SAS წარმოადგენს გლობალურ კომპანიას წარმომადგენლობით მსოფლიოს 90 ქვეყანაში, დასაქმებულია 120 ადამიანზე მეტი. შვილობილი კომპანიები გააჩნია მექსიკასა და ბრაზილიაში, ხოლო პარტნიორობის ქსელი მოიცავს სხვადასხვა კონტინენტს.



კომპანიის მიზანს წარმოადგენს ცოდნის გაღრმავება და რესურსების მოპოვება ტექნოლოგიურ სოფლის მეურნეობაში მცენარეთა კვებისთვის განკუთვნილი ხსნარების კვლევისა და განვითარებისთვის. NOBA-წარმოადგენს ტექნოლოგიურ პლატფორმას, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მრავალპროფილური გუნდი და თანამედროვე კვლევების ჩატარებისთვის საჭირო პირობები (ლაბორატორია, სათბურები, საცდელი ნაკვეთები და სხვა).

NOBA-მ ხელი შეუწყო კომპანიის მნიშვნელოვან მიღწევებს და მისი საშუალებით კომპანია იქცა დარგის ღიქად და სხვა კომპანიების ორიენტირად. კომპანიამ გაფართოებასა და უფრო პროდუქტიული და ეფექტური სამუშაო სივრცის შესაქმნელად ჩადო 16 მილიონი ევროს ინვესტიცია. ამის შედეგად სამჯერ იზრდება კომპანიის საწარმოო სივრცე და წლიური წარმოება გაიზრდება 25%-ით. SAS ამატებს სასაწყობო სივრცეებსა და მომსახურების ხაზებს, რომელიც მოწყობილი იქნება მაღალტექნოლოგიურად აუტომატიზირებული სისტემებით, რათა მომხმარებლებს შესთავაზოს უფრო მაღალი ხარისხის მომსახურება.



#BeSAS

ჩვენი BeSAS კონცეფცია გვხდის უნიკალურს ინდუსტრიაში. კომპანიისთვის ღირებულია გარემო და საზოგადოება, შესაბამისად სოციალური პასუხისმგებლობით უდგებიან წარმოების პროცესებს. კომპანიის გუნდის წევრები ახლოს მუშაობენ ფერმერებთან, შედგებად სწრაფად ადაპტირდებიან მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის დანერგვით კომპანია იღებს პასუხისმგებლობას და იაზრებს გარემოს დაბინძურების საკითხებს, შესაბამისად ცდილობს წარმოების პროცესების იმგვარად დაგეგმვას რომ მინიმალური ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე.

კომპანიის მდგრადი განვითარება

კომპანიისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია მისი მდგრადი განვითარება, სწორედ ეს განაპირობებს SAS-ის ღირებობას დარგში.

კომპანიის მდგრადი განვითარება და მდგრადი სოფლის მეურნეობის წარმოება გულისხმობს- გარემო, სოციალური და ეკონომიკური პასუხისმგებლობების გააზრებას.

როგორ უზრუნველყოფს SAS მდგრად განვითარებას?



კომპანიის მფლობელობაში მყოფი ყველა შენობა-ნაგებობა აშენებულია ყველა უსაფრთხოების ნორმის დაცვით. ენერჯის უზრუნველსაყოფად კომპანია იყენებს მზის ენერჯისგან გამომუშავებულ ენერჯიას, ხოლო წარმოებაში გამოყენებული წყლის ხედმორე გადამუშავება ხდება. კომპანიაში დანერგილია ნარჩენების გადამუშავების სისტემა, შედეგად მინიმუმამდე დაჰყავს საწარმოო ნარჩენების რაოდენობა.

ნედლეული

კომპანია საწყის ნედლეულს არჩევს იმ მოთხოვნით, რომ იგი უნდა იყოს მცენარეული წარმოშობისა და არატოქსიკური. უნდა შეესაბამებოდეს რეგულაციებსა და იყოს კონკურენტუნარიანი.



პროდუქცია

SAS-ში ბუნებრივი ნედლეულისგან აწარმოებენ პროდუქციას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ მოსავალს და მდგრადი სოფლის მეურნეობის წარმოებას ცუდ ნიადაგურ და კლიმატურ პირობებშიც კი.

SAS-ის კვლევისა და განვითარების პლატფორმა (NOBA) და მაღალკვალიფიციური ტექნიკური გუნდი საუკეთესო შემადგენლობის მქონე სტიმულატორების მიღების გარანტიაა.




ჩვენი მომხმარებლები

მდგრადი სოფლის მეურნეობის წარმოების ჯაჭვის მთავარ რგოლს მომხმარებლები წარმოადგენენ, შესაბამისად SAS-ის გუნდი ორიენტირებულია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კომპანია იაზრებს რომ დროთა განმავლობაში მომხმარებლის მოთხოვნები პროდუქტებზე შეიძლება შეიცვალოს, სწორედ ამიტომ მომხმარებელთან მუდმივი ურთიერთობის ხარჯზე აუმაღლებენ და აწარმოებენ ახალი შემადგენლობის მქონე მაღალეფექტურ სტიმულატორებსა და სასუქებს.






ნიადაგის გაუმჯობესება




კვება





სტიმულატორები



უკეთესი ეფექტურობისათვის



ჩვენი პროდუქტები ოთხ ძირითად მიმართულებად დავყავით, რომელთაგან თითოეული კონკრეტულ მიზანს ემსახურება. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი პროდუქტები მრავალმხრივია და შესაძლებელია რამდენიმე პრეპარატის ერთდროულად გამოყენება, თქვენი კულტურისა და მიზნების შესაბამისად. SAS და მისი თანამშრომლები ყოველთვის საუკეთესო მიდგომას შემოგთავაზებენ თქვენი საქმიანობის გათვალისწინებით.

ნიდაბის ნაყოფიერების
გაუმჯობესების სტრატეგია





ჩვენ გთავაზობთ განსხვავებულ სტრატეგიებს ნიადაგისა და სარწყავი წყლის თვისებების გასაუმჯობესებლად. ჩვენი მიდგომები პასუხობს ფართო სპექტრის პრობლემებს – ნიადაგის ზოგადი უნაყოფობიდან დაწყებული, უფრო მცირე და სპეციფიკური პრობლემებით დამთავრებული, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ პრეპარატებს. ეს პრეპარატები ამცირებენ მარილიანობას, აუმჯობესებენ წყლის თანაბარ გადანაწილებას, მცენარისთვის ხელმისაწვდომს ხდიან ნიადაგში არსებულ საკვებ ნივთიერებებს და ა.შ.

პროდუქცია

კოდასალ პრემიუმი —

კოდასალ ბერი —

ნუმატრიკი —

კოდაჰუმუს 20 —

კოდასულ pH —

კალციუმის კორექტორები

კალციუმის კომპლექსური ხსნარი ორგანულ მჟავებთან ერთად იდეალურია ნებისმიერი ტიპის ნიადაგისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურისთვის, ფესვიდან გამოკვებისას. მცენარისთვის ხელმისაწვდომი კალციუმის შეტანა ზრდის მოსავლიანობას, ამსხვილებს ნაყოფს, ზრდის მის მედეგობას, ხარისხსა და შენახვის უნარს.

კოდასალ პრემიუმი

17.52% CaO + ორგანული მჟავები (5/8)



მაღალხარისხიანი მცენარეული ნედლეულისგან მიღებულ ორგანულ მჟავებთან კომპლექსში მყოფი კალციუმის ხსნარი. ასეთი გზით შეტანილი კალციუმი ადვილად ათვისებადია მცენარის მიერ, რაც ზრდის პრეპარატის ეფექტურობას. აღმოფხვრის ნიადაგში ფესვის გარშემო ჭარბი მარილების შემცველობას, ამცირებს მცენარეში ოსმოსურ სტრესს, აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს.

გამოყენება	გამოყენების დოზა
კალციუმის კორექტორი	4-6 ლ/ჰა გამოყენეთ ყოველ 7 დღეში ნაყოფის განვითარების ეტაპზე
ნატრიუმით გაჯერებული ნიადაგის კორექტორი	10-20 ლ/ჰა 2-4 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
მლაშე წყლის კორექტორი	10-40 მლ/მ ² წყალში



უმრუნველყოფს მცენარეს კალციუმის მარტივად შესატვისებელი ფორმით მთელი სავეგეტაციო ციკლის განმავლობაში, რაც ზრდის უჯრედის კედლის სიმკვრივესა და სიმკვრივეს. ზრდის მოსავლის აღების შემდეგომ შენახვის უნარს და მედეგობას დაავადებების მიმართ.




იდეალურია იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგი გაჯერებულია ნატრიუმის იონით ან მისი მარილებით, აგრეთვე თუ ნიადაგი ირწყვება მაღალი მარილიანობის, Na⁺-ის იონის მაღალი შემცველობის მქონე წყლით. პროდუქტი საშუალებით ხდება მარილების გამოდევნა ფესვის მონიდან, შედეგად მცირდება ოსმოსური სტრესით გამოწვეული პრობლემები მცენარეში.



მაღალი ფლოკულაციური უნარის (ფესვთა სისტემიდან დამლაშების გამომწვევი იონების მოშორება) გამო ახდენს ნიადაგის ფიზიკო-ქიმიური და ბიოლოგიური პირობების ოპტიმიზაციას, აუმჯობესებს ფესვთა სისტემის აერაციას, ზრდის კათიონების გაცვლით ტევადობას, აგრეთვე ზრდის ნიადაგში წყლის შეკავების უნარსა და მის ხელმისაწვდომობას.

კოდასალ ბერი

14% CaO + 2.8% MgO + 0.14% B + 0.07% Mo + 0.007% Co + ორგანული მჟავები (5/8)



კალციუმის კომპლექსური ხსნარი ორგანულ მჟავებთან დამიკროელემენტებთან ერთად. პრეპარატი:

- აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას;
- ამცირებს მავნე ნივთიერებათა მომწამვლელ გავლენას მაგადითად: აღმინით გამოწვეულ ტოქსიკურობას;
- აუმჯობესებს ღიმიტირებული ელემენტების, კალციუმის და მაგნიუმის, ხელმისაწვდომობას და ათვისების უნარს;
- იდეალურია მჟავე ნიადაგის ფერტილიზაციისთვის.

გამოყენება	გამოყენების დოზა
კალციუმის კორექტორი ფერტილიზაციაში	4-8 ლ/ჰა ყოველ 7-10 დღეში, ნაყოფის განვითარების პერიოდში

ნიადაგის ინფილტრაციის გამაუმჯობესებელი

ნუმატრიკი

2.4% CaO + 1.1% MgO + 45.2% ორგანული მჟავები (5/8)



კალციუმისა და მაგნიუმის ნაზავი, ორგანულ მჟავებთან ერთად. შექმნილია ისეთი ნიადაგებისთვის, რომელთაც არ აქვთ კარგი აგებულება და უჭირთ წყლის შეთვისება.

- პრეპარატი აუმჯობესებს სარწყავის წყლის ნიადაგში შეღწევის უნარს, მის თანაბარ გადანაწილებას ფესვთა სისტემის ზონაში, რის შედეგადაც იზრდება ნიადაგში წყლის შეკავების უნარი და მასში ჟანგბადის შემცველობა;
- მცენარეს უვითარდება ძლიერი ფესვთა სისტემა, რის შედეგად უშკლებს ნაყოფის ხარისხი და მოსავლიანობა;
- ეფექტურია მძიმე და ქვიშნარ ნიადაგებში.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფერტილიზაცია	5-10 ლ/ჰა. 2-4 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში. მორწყეთ, შემდეგ შეიტანეთ ნუმატრიკი და ბოლოს რწყვის დასასრულში ისევ მორწყეთ მხოლოდ წყლით



ნიადაგის კონდიციონერები

ორგანული ნარმოშობის პრეპარატები ჰუმინური მჟავის ფუძეზე, რომლებიც განკუთვნილია ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების გასაუმჯობესებლად და ხელს უწყობს რიზოსფერში- ფესვის გარშემო, ბიოლოგიური პროცესების წარმართვას.




კოდაჰუმუს 20



22.8% ჰუმინური ექსტრაქტი (11.3% ჰუმინური მჟავები + 11.5% ფულვო მჟავები) + 3.6% K₂O (წ/მ)

თხევადი ორგანული კორექტორი ჰუმინური ექსტრაქტის ფუძეზე. ექსტრაქტი მიღებულია დეონარდიტისა და ფულვო მჟავებისგან.

- აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და ზრდის კათიონების გაცვლით ტევადობას;
- მცენარისთვის ხელმისაწვდომს ხდის ნიადაგში შეუთვისებელი ფორმით არსებულ საკვებ ელემენტებს, შესაბამისად ზრდის მათ შეთვისების უნარს;
- ზრდის ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკრობების რაოდენობას და აძლიერებს მათ მოქმედებას;
- ხელს უწყობს ნიადაგის აგრეგატების წარმოქმნას (ნიადაგის შემადგენელი მცირე მყარი ნაწილაკები), რაც ზრდის ფესვის საერთო მასას და აუმჯობესებს წყლის შეკავების უნარს.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფერტიგაცია	3-5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 20-60 ლ/ჰა მთელი ვეგეტაციის განმავლობაში

(ბაზონიდან ორგანულ მიწათმოქმედებაში)

შეამუშავებელი

Coda-ს შემამუშავებელ პრეპარატებს აქვთ სამმაგი მოქმედება: სასუქი, შემამუშავებელი და საკვები ელემენტების გამათავისუფლებელი. სასუქი შეიცავს დიდი რაოდენობით აზოტსა და გოგირდს, აგრეთვე გამდიდრებულია მიკროელემენტებით.

ამ პრეპარატების მთავარი ფუნქციაა სარწყავ წყალში მჟავიანობის დონის შემცირება, რათა თავიდან ავიცილოთ სარწყავი სისტემის ნადებით დაცობა. აგრეთვე ფესვის ზონის შემუშავება, არასასურველი მარილების გამორეცხვა და მცენარის ძირითადი საკვები ნივთიერებების შესათვისებელ ფორმაში გადაყვანა.

კოდასულ pH

22.8% N + 60.8% SO₃ + 0.03% Fe + 0.01% Zn (წ/მ)

მუავე სასუქი, აზოტისა და გოგირდის მაღალი კონცენტრაციით შემცველობით, გამდიდრებული მიკროელემენტებით. რომელიც:

- ამცირებს სარწყავი წყლის მჟავიანობას;
- ანეიტრალებს ნაშირმჟავა მარილებს სარწყავ წყალში, რაც ამალდებს ნაყოფიერებას და ხელმისაწვდომს ხდის ნიადაგში მცენარისთვის შეუთვისებელი ფორმით არსებულ საკვებ ელემენტებს;
- ნატრიუმით გაჯერებულ ნიადაგებში გამოიყენება დამლაშების გამომწვევი მარილების რაოდენობის შესამცირებლად, ხელს უწყობს მარილების გამორეცხვას.



გამოყენება	გამოყენების დოზა
მჟავიანობის რეგულატორი	50 – 150 მლ/ტ წყალში
საკვები ელემენტების გამოთავისუფლება	5-10 ლ/ჰა ერთი შეტანა 20-40 ლ/ჰა მთელი ვეგეტაციის განმავლობაში



ბაზოკვების სატრატეგია





ყველა კულტურის მცენარეთა კვების გაუმჯობესების სტრატეგია, როგორც ფოთლიდან ისევე ფესვიდან გამოკვების გზით.

პროდუქცია შეიცავს მარტივად ასათვისებელ მაკრო და მიკრო საკვებ ელემენტებს. მოცემული პრეპარატები არ ანაცვლებს, არამედ გამოიყენება, როგორც ძირითადი NPK სასუქების დანამატი.

პროდუქცია

კოდაფოლი 7-21-7

კოდაფოლ K35 მჟავა

კოდაფოლ მაქსიმუსი 8-11-3

K-მედი

კოდაფოლ P54

კოდაკალ ბორო

კოდაბორო

კოდა -Zn-L

კოდა Cu-L

კოდამიქსი

კოდაჰორტი

თხევადი NPK

წყალში სრულად ხსნადი სასუქები ამოტის, ფოსფორისა და კალიუმის მაღალი შემცველობით. შექმნილია ფოთლიდან კვებისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში ფესვიდან გამოსაკვებად. საკვები ელემენტების მაღალი შემცველობა უზრუნველყოფს პრეპარატების მაღალ ეფექტურობას.

ფოსფორი


კოდაფოლ P54

85% P₂O₅ + 10 მგ/ლ დიმეტილ სულფოქსიდი (წ/მ)

სასუქი ფოთლიდან კვებისთვის ფოსფორის მაღალი შემცველობით (850 გ/ლ P₂O₅), დიმეტილ სულფოქსიდის დანამატით, რომელიც ამარტივებს პრეპარატის მცენარის მიერ შეთვისებას.

- ძირითადად გამოიყენება ფოსფორის დეფიციტისას, ზოგადად კი ყვავილობისწინა, ყვავილობის და ნაყოფის გამონასკვის პერიოდში;
- აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, როგორცაა ფოტოსინთეზი, რაც მცენარეს ანიჭებს დამატებით ენერჯიას;
- აჩქარებს ფესვთა სისტემის განვითარებას.



გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	100-150 მლ/100 ლ წყალში ერთ შეტანაზე 1-2 გამოყენება მთელი ვეგეტაციის განმავლობაში

სპეციალური გამოყენებისათვის


კოდაფოლ მაქსიმუსი 8-11-3

10.4% N + 14.3% P₂O₅ + 3.9% K₂O + 0.39% MgO + 0.98% Mn + 0.68% Zn + 0.14% B + 10.66% თავისუფალი ამინომჟავები (წ/მ)

პრეპარატი ამოტის, ფოსფორისა და კალიუმის სრულყოფილი ბალანსით, გამდიდრებული მიკროელემენტებით, ამინომჟავებითა და ბუნებრივი ბიოსტიმულატორებით.

- აჯანსაღებს მცენარეს და ზრდის მის გამძლეობას;
- ეხმარება მცენარეს დაძლიოს სტრესული მდგომარეობა;
- ამარაგებს მას აუცილებელი საკვები ნივთიერებებითა და ბიოსტიმულატორებით, რაც ხელს უწყობს ნაყოფის გამონასკვას;
- ზრდის მოსავლის რაოდენობასა და ხარისხს;
- განსაკუთრებით რეკომენდებულია ერთწლიან კულტურებში გამოსაყენებლად (მარცვლეული, სოიო, ა.შ.).



გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	100-300 მლ/100 ლ წყალში ერთ შეტანაზე 2-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში

სამუშაო წყლის მოცულობა: 200-1000 ლ/ჰა

აგრონომიული სარგებელი (პროდუქტის უპირატესობა)



მცენარე იზრდება უფრო ინტენსიურად და ძლიერდება ბიომასის დაგროვება. ფოტოსინთეზის (ბიოლოგიური ნაერთები ჩვეულებრივ ენერჯის შემწახვევი მონოსაქარაიდები, რომლებიც წარმოიქმნება ფოტოსინთეზის შედეგად.) თანაბარი გადანაწილება ნაყოფში.



მაქსიმალური მოსავალი



საკვები ელემენტების დაბალანსებული შემცველობა: (NPK + Mg + მ.ე. + ამინომჟავები) იზრდება მცენარის სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლებლობა, განსაკუთრებით მაშინ როცა ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსავლიანობისთვის



გაზრდილი ეკონომიკური სარგებელი






კოდაფოლ K35 მჟავა

35% K₂O (წ/მ)

ფოთლიდან შესატანი კალიუმის მაღალი შემცველობის მქონე პრეპარატი.

- გამოიყენება მაშინ, როდესაც მცენარეს გააჩნია მაქსიმალური მოთხოვნა კალიუმზე, განსაკუთრებით მოსავლის აღების წინა პერიოდში;
- აუმჯობესებს ნაყოფის ხარისხს, შაქრიანობას, ფერსა და ზომას;
- არეგულირებს მცენარეში მიმდინარე სხვადასხვა პროცესს, როგორცაა ფოტოსინთეზი და ტრანსპირაცია;
- დაბალი მჟავიანობის გამო მარტივდება კოდაფოლი K35 მჟავის შეთვისება ფოთლოვანი დამუშავებისას. აგროქიმიკატებთან ნარევი იგი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც pH-ის მარეგულირებელი.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	250-300 მლ/100 ლ წყალში ერთ შეტანაზე 1-2 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში


K - მედი



36% K₂O + 7% თავისუფალი ამინომჟავები (წ/მ)

ბიოსტიმულატორი, რომელიც მაღალი კონცენტრაციით შეიცავს კალიუმსა და ამინომჟავებს. სპეციალურად შექმნილია ფესვთა სისტემით გამოსაკვებად.

- გამოიყენება ისეთ ნიადაგებში, რომლებიც ხასიათდება კალიუმის დაბალი შემცველობით;
- გამოიყენება მაშინ როდესაც მცენარეს გააჩნია მაქსიმალური მოთხოვნა კალიუმზე. გამოიყენება მოსავლის აღების წინა პერიოდშიც;
- K-მედის გამოყენების მიზანია ნაყოფის ზომის, წონის, შაქრების შემცველობის ზრდა;
- პროდუქტში ამინომჟავების ასეთი მაღალი შემცველობა ხელს უწყობს მცენარის გამძლეობის ზრდას უარყოფითი გარემო-პირობების ან აბიოტური სტრესის წინააღმდეგ;
- ამინომჟავების მოქმედებით იზრდება ფესვთა სისტემის მიერ კალიუმის შეთვისების უნარი;
- K-მედის გამოყენება ხელს უწყობს ძლიერი ფესვთა სისტემის განვითარებას.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფერტიგაცია	10-20 ლ/ჰა 2-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში 10-15 დღიანი ინტერვალით; გამოიყენეთ ნაყოფის განვითარების სტადიაზე, გამოკვება შეწყვიტეთ მოსავლის აღებამდე 7-10 დღით ადრე



დეფიციტის კორექტორები

დეფიციტის კორექტორები შექმნილია სპეციალურად გარკვეული ელემენტის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული სერია შეიცავს როგორც მთრე ჯგუფის მაკროელემენტებს (Ca; Mg; S), აგრეთვე მიკროელემენტებს. თხევადი სასუქი ყველა საკვებ ელემენტს შეიცავს ხელატური ფორმით, რაც აადვილებს საკვები ელემენტების შეთვისების უნარსა და ხელმისაწვდომობას. თითოეული პროდუქტი შემუშავებულია იმგვარად, რომ ფოთლოვანი დამუშავებისას ხასიათდება კარგი მიწებებისა და შეთვისების უნარით pH-ის ფართო დიაპაზონში.

მიკროელემენტები



კოდაბორი



14% B (წ/მ)

ბორის მაღალი შემცველობის (140 გ/ლ), თხევადი კომპლექსი (ბორეთანოლამინი) ფოთლიდან ან ნიადაგიდან შესატანად.

- ახდენს ბორის დეფიციტის პრევენციას და აღადგენს მცენარეში ბორის ბალანსს, რომელიც უმნიშვნელოვანესი ელემენტია დამტვერვისა და ნაყოფის გამონასკვის პროცესში;
- ნაყოფს აღარ უზნდება დეფორმაცია და ღაჭები;
- ნაყოფის განვითარების ეტაპზე არეგულირებს უჯრედის გაყოფის პროცესში მონაწილე ჰორმონის სინთეზს;
- ზრდის ხიდ-ბოსტნეულის მოსავლიანობას და ხარისხს.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	100-200 მლ/100 ლ წყალში 1-2 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 1-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
ფერტიგაცია	1-3 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 2-4 შეტანა ვეგეტაციის განმავლობაში

(გამოიყენება ორგანულ სოფლის მეურნეობაში)



კოდა - Zn - L



10,4% Zn (წ/მ)

თხევადი ხსნარი, დიგნოსუდფონატებთან ნაერთში მყოფი თუთიის შემცველობით, გამოიყენება როგორც ფესვიდან ასევე ფოთლიდან გამოკვებისას.

- აღმოფხვრის თუთიის დეფიციტს და არეგულირებს მის შემცველობას;
- თუთია არეგულირებს მცენარისთვის მნიშვნელოვან ფერმენტულ პროცესებს, მონაწილეობას იღებს ამოტის გარდაქმნის ციკლში და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ტრიფტოფანის (მცენარის ზრდის რეგულატორი) სინთეზისთვის;
- წარმოადგენს ცილების აუცილებელ სტრუქტურულ კომპონენტს და მონაწილეობას იღებს მრავალ ფერმენტულ პროცესში;
- თუთიის ნაკლებობა იწვევს მცენარის ზრდის შეფერხებას, რაც უარყოფითად აისახება მოსავლიანობაზე.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	200-300 მლ/100 ლ წყალში 2-3 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 1-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
ფერტიგაცია	3-5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 2-4 შეტანა ვეგეტაციის განმავლობაში

(გამოიყენება ორგანულ სოფლის მეურნეობაში)



კოდა Cu-L




6.0% Cu (წ/მ)

სპილენძის კომპლექსური ხსნარი დიგნოსუდფონატებთან, გამოიყენება მცენარის ფოთლიდან და ფესვიდან გამოსაკვებად.

- გამოიყენება სპილენძის ნაკლებობის პრევენციისა და კორექციისთვის;
- სპილენძი მრავალი ფერმენტული პროცესის წარმართვისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია. მონაწილეობას იღებს ფოტოსინთეზის, დიგნინის (ორგანული პოლიმერები, რომლებიც ქმნიან მცენარის საყრდენი მასალის სტრუქტურულ ერთეულებს) სინთეზისა და საკვები ელემენტების ფესვიდან ფოთლში ტრანსპორტირების პროცესში.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	200-300 მლ/100 ლ წყალში. 2-3 ლ/ჰა ერთ გამოყენებაზე. 1-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
ფერტიგაცია	3-5 ლ/ჰა ერთ გამოყენებაზე. 2-4 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში

(გამოიყენება ორგანულ სოფლის მეურნეობაში)



მაკროელემენტები (Ca, Mg,S)



კოდაკალ ბორო

10.4 % CaO + 0.52 % B (წ/მ)

კალციუმისა და ბორის კომპლექსი, განსაკუთრებით რეკომენდებულია ფოთლიდან გამოკვებისას.

- ახდენს კალციუმისა და ბორის დეფიციტის პრევენციას და კორექტირებას;
- პრეპარატის გამოყენების შემდეგ მიღებული ნაყოფი გაცილებით მკვრივი და ელასტიურია, რაც ზრდის ნაყოფის შენახვის ხანგრძლივობას;
- ამ ორი ელემენტის ერთად გამოყენება არა მარტო აუმჯობესებს კალციუმის მოძრაობას მცენარეში, არამედ გამოირიცხავს ბორის შესაძლო დეფიციტსაც.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	250-300 მლ/100 ლ წყალში 2-4 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 4-6 გამოყენება ყოველ 7-10 დღეში
 ფერტიგაცია	3-5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე გამოყენება ყოველ კვირას ნაყოფის განვითარების პერიოდში

კომბინირებული პრეპარატები



კოდაქველი

4.5% Zn + 4.5% Mn (წ/მ)

თუთიისა და მანგანუმის თხევადი ხსნარის კომპლექსი დიგნოსულფონატებთან ერთად. გამოიყენება ფოთლიდან და ფესვთა სისტემიდან გამოსაკვებად.

- გამოიყენება თუთიისა და მანგანუმის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად;
- თუთიისა და მანგანუმის ერთობლივი მოქმედება აძლიერებს ფოტოსინთეზის აქტივობას, ცილების სინთეზს და უჭრედის ზრდის პროცესს;
- აუმჯობესებს მცენარის ზრდა-განვითარების პროცესს, ნაყოფის ხარისხს და მოსავლიანობას.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	200-300 მლ/100 ლ წყალში 3-4 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 2-3 გამოყენება ვეგეტაციის პერიოდში
 ფერტიგაცია	3-5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 2-4 გამოყენება ვეგეტაციის პერიოდში

(გამოიყენება ორგანულ სოფლის მეურნეობაში)



კოდაჰორტი

2.17% MgO + 11.78% SO₃ + 2.48% Fe + 1.24% Mn + 1.24% Zn + 0.24% B + 0.12% Cu + 0.02% Mo (წ/მ)

წყალში სრულად ხსნადი თხევადი ორგანული სასუქი მიკროელემენტებითა და ორგანული მჟავების მაღალი შემცველობით. გამოიყენება ფესვიდან გამოკვებისას.

- გამოიყენება, როგორც სხვადასხვა ელემენტის დეფიციტის კორექტორი;
- ხეხილსა და ბოსტნეულში გამოიყენება, როგორც ძირითადი NPK სასუქის დანამატი;
- პრეპარატი არსებული მიკროელემენტები ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს როგორცაა: ფოტოსინთეზი, ცილის სინთეზი, ფერმენტების გააქტიურება, რაც ხელს უწყობს მცენარის ფიზიოლოგიურ განვითარებას და ზრდის მოსავლიანობას.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	200-300 მლ/100 ლ წყალში 2-3 ლ/ჰა- ზე 2-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
 ფერტიგაცია	4-6 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 30-80 ლ/ჰა ვეგეტაციის განმავლობაში



სტიმულაცია





კოდას ბიომასტიმულირებელ სტრატეგიებში შედის ფორმულაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ნებისმიერ კულტურაში მაქსიმალურად გაზარდოს მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი. მოცემული პრეპარატები ზრდიან მცენარის გამძლეობას სტრესული მდგომარეობის მიმართ და ამარაგებენ მას ხელმისაწვდომი ენერჯის წყაროთი. კოდა გთავაზობთ სხვადასხვა მიდგომებს, რომლებიც დაფუძნებულია მცენარეებისა და წყალმცენარეებისგან მიღებულ ამინომჟავებზე. ბიოსტიმულატორები შექმნილია მცენარის განვითარების ეტაპებზე სხვადასხვა პროცესის გასააქტიურებლად.

პროდუქცია

კოდამინ 150

ი-დალგინი

კოდამინი რადიკულარი

კოდამინი მიკრორადიკულარი

კოდამინი B-Mo

ფრუტმაქსი 10

კოდაბრიქსი

უნიბროტი

ოსმოპლანტი

კოდავიტი

კრიოსი

კოდამინ 150

4.1% N + 2.42% Fe + 0.72% Mn + 0.48% Zn + 15.6% თავისუფალი ამინო მჟავები (6/8)



ბიოსტიმულატორი ჰიდროლიზირებული მცენარეული ცილებისა და მიკროელემენტების ოპტიმალური თანაფარდობით.

- ეხმარება მცენარეს მოემზადოს ან გადაახოს სტრესული გარემო- პირობები;
- ამინომჟავების შემცველობა ეხმარება მცენარეს ზრდისა და ყვავილობის პერიოდში, შედეგად კი იზრდება მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი;
- ამინომჟავები მონაწილეობას იღებენ ცილის სინთეზში, რითაც ამარაგებენ მცენარეს სხვა ფიზიოლოგიური პროცესებისთვის საჭირო ენერჯით;
- მოქმედებს, როგორც ნივთიერებათა ცვლის რეგულატორი, აძლიერებს ქლოროფილის, ინდოლაცეტიდის მჟავის, ვიტამინებისა და ფერმენტების წარმოქმნას;
- ხშირად კოდამინ 150 გამოიყენება CODA-ს საკვებ პროდუქციასთან ერთად, რაც აძლიერებს პრეპარატების ეფექტს;
- გამოიყენება როგორც ძირითადი NPK სასუქის დანამატი.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	200-300 მლ/100 ღ წყალში ერთ შეტანაზე 1-4 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
ფერტიგაცია	5ლ/ჰა ერთ შეტანაზე 2-4 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
მიმწებებელი	1 ღ/ჰა ყოველ შეტანაზე

(გამოიყენება ორგანულ მიწათმოქმედებაში)

ი - დალგინი



100% წყალმცენარეების ექსტრაქტი



ეკოლოგიურად სუფთა 100 %-ით წყალმცენარეების ექსტრაქტზე დამზადებული ბიოსტიმულატორი, რომელიც შეიცავს მიკრო და მაკროელემენტებს, ამინომჟავებს, ნახშირწყლებსა და ბუნებრივ ფიტოჰორმონებს.

- აუმჯობესებს და ინარჩუნებს მცენარის ფიზიოლოგიურ აქტივობას მისი განვითარების მთელ პერიოდში;
- აყვავებს დაბერების პროცესს;
- მცენარეს მატებს გამძლეობას ყველა ტიპის სტრესის მიმართ, რაც თავის მხრივ, ზრდის მოსავალს და მის ხარისხს.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	200-250 მლ/100ღ წყალში ერთ შეტანაზე. 1 – 3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში.
ფერტიგაცია	3 – 4 ღ/ჰა ერთ შეტანაზე. 2 – 6 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში.

(გამოიყენება ორგანულ მიწათმოქმედებაში)



ფესვთა სისტემისათვის


კოლამინი რადიკულარი



5.8% თავისუფალი ამინომჟავები + 3.3% N + 11.3% P₂O₅ + 4.0% K₂O (ნ/მ)

ბიოსტიმულატორი დაბადანსებული მცენარეული წარმოშობის ამინომჟავების, ფოსფორისა და კალიუმის შემცველობით.

- პრეპარატს გააჩნია ორმაგი მოქმედება: კვებავს მცენარეს და აძლევს დამატებით ენერჯიას;
- ხელს უწყობს ჭანსალი, ვრცელი ფესვთა სისტემის განვითარებას დიდი მოცულობის ბუსუსებით, რაც აძლიერებს შენთვის უნარს;
- სტრესულ სიტუაციებში (გადარგვა, გაყინვა, ტოქსიკურობა, ა.შ) ის ასაზრდოებს და აძლევს მცენარეს დამატებით ენერჯიას, ხელს უწყობს მის სწრაფ გამოჯანსაღებას და ზრდა-განვითარების გააქტიურებას.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფერტიგაცია	4-6 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 20-40 ლ/ჰა ვეგეტაციის განმავლობაში


კოლამინ მიკრორადიკულარი (ბიო)



5% თავისუფალი ამინომჟავები + 1.3% N + 3.6% Fe + 1.2% Mn + 1.2% Zn (ნ/მ)

ბიოსტიმულატორი შედგება მცენარეული წარმოშობის ამინომჟავებისა და დაბადანსებული სპეციალური საკვები ელემენტებისაგან.

- რკინის, მანგანუმისა და თუთიის სწორი ბალანსი, ამინომჟავებთან ერთად, ეხმარება ფესვებს უკეთ შეითვისოს საკვები ნივთიერებები;
- მისი დახმარებით მცენარე უფრო მარტივად აწარმოებს საჭირო ცილებს, რითაც ზოგადად ენერჯიას და შედეგად აღვიდად უმკლავდება სტრესულ სიტუაციებს;
- ამცირებს სარწყავი წყლის pH-ს და თავიდან გვაცილებს სარწყავი სისტემების დაცობას;
- აქვს შემამზავებელი მოქმედება ნიადაგის იმ არეალზე, რომელსაც ასველებს, რეცხავს არასასურველ მარილებს და მცენარისთვის შესათვისებელ ფორმაში გადაყავს დაბლოკილი საკვები ელემენტები.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფერტიგაცია	4-6 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 20-40 ლ/ჰა ვეგეტაციის განმავლობაში

(გამოიყენება ორგანულ მიწათმოქმედებაში)



ყვავილობა და ნაყოფის გამონასკვა

კოლამინ B-Mo

6.4% B + 0.2% Mo + 12.3% თავისუფალი ამინომჟავები (წ/მ)

მცენარეული ამინომჟავებისგან დამზადებული ბიოსტიმულატორი, გამდიდრებული ბორითა და მოლიბდენით.



- პრეპარატი აგებს ბორის დეფიციტს;
- ბორის, მოლიბდენისა და ამინომჟავების კომპლექსი ხელს უწყობს ცილების სინთეზს და ამარტივებს ამ ნივთიერებების ათვისებას მთელ მცენარეში;
- ხელს უწყობს ფიზიოლოგიურ პროცესებს ყვავილობიდან ნაყოფის გამონასკვამდე;
- ეხმარება მცენარეს ენერჯის დამოგვაში და არახელსაყრედ პირობებთან გამკლავებაში;
- ზრდის მოსავლიანობასა და ნაყოფის ხარისხს.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	200-250 მლ/100 ლ წყალში ერთ შეტანაზე 1-2 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
ფერტიგაცია	5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 2-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში

ნაყოფის განვითარება


ფრუტმაქსი 10

3.46% N + 1.96% K2O + 1.15% B + 0.11% Mo + 11,55% თავისუფალი ამინომჟავები + 9.47% წყალმცენარეების ექსტრაქტი (წ/მ)

ბიოსტიმულატორი მცენარეული ამინომჟავების, ბიოაქტიური ნივთიერებების, ოსმოლიტებისა და წყალმცენარეების ექსტრაქტის შემცველობით.

ნაყოფის განვითარებისა და ფორმირების სპეციფიკურ მომენტში სტიმულატორის გამოყენება უზრუნველყოფს მცენარეს დამატებითი ენერჯით, უზრუნველყოფს ვეგეტატიურ ბაიანსსა და უჭრედების გამრავლებას მაქსიმალური ზომის ნაყოფის მისაღებად.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	150-250 მლ/100 ლ წყალში ერთ შეტანაზე გამოიყენება ყოველ 7-15 დღეში
ფერტიგაცია	3-5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე გამოიყენება ყოველ 7-10 დღეში



ფრუტმაქსი 10-ის მოქმედება

სტიმულაცია



საგულდაგულდ შერჩეული მცენარეული წარმოშობის ამინომჟავები წყალმცენარეების ექსტრაქტთან ერთად ხელს უწყობს მცენარის ოპტიმალურ ზრდას დიდი რაოდენობის ენერჯის დამოგვის გზით. მცენარე დამატებით ენერჯის აღარ ხარჯავს უჭრედის გაყოფის პროცესზე მასში შემავალი კომპონენტების ხარჯზე.

ნაყოფის ზომის ზრდა



ამინომჟავების, ოსმოლიტებისა და ბიოაქტიური კომპონენტების სინერგიული მოქმედებით აქტიურად მიმდინარეობს უჭრედის გაყოფისა და გამრავლების, აგრეთვე უჭრედის ზრდის პროცესი რაც აძლიერებს ნაყოფის დამსხვილებას.



ნაყოფის თანაბარი განვითარება



უფრო დიდი ზომის ნაყოფი



გაზრდილი მოსავალი



გაზრდილი მოგება



ნაყოფის დამწიფება


კოდაბრიქსი

25.4% K₂O + 16.2% პოლისაქარიდები + 0.35% თავისუფალი ამინომჟავები (წ/მ)



ბიოსტიმულატორი მცენარეული ამინომჟავებით, გამდიდრებული კალიუმითა და პოლისაქარიდებით.

- აუმჯობესებს ნაყოფის დამწიფებას - აძლევს მას ჯანსაღ ფერსა და ფორმას;
- აუმჯობესებს ნაყოფის ზომას, შეჩერების შემცველობას და მოსავლიანობას ისე, რომ ნაყოფი არ კარგავს შენახვის უნარს.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	200-250 მლ/100 ლ წყალში ერთ შეტანაზე 1-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში

coda

მორბაბული თევზის კულტურაზე



მცენარის გამაძლიერებელი

ოსმოპლანტი

6.63 % თავისუფალი ამინომჟავები + 2.65% N + 3.70% K₂O (წ/მ)



ბიოსტიმულატორი სპეციფიკური ამინომჟავების, კალიუმისა და სხვა უჯრედული და ოსმოსური ბალანსის მარეგულირებელი ნაერთების დანამატით, რომლებიც არეგულირებენ წყლის დონეს და ოსმოსურ (ნივთიერებების მიმოცვლა უჯრედების გარისს გავლით) ბალანსს მცენარის უჯრედებში.

- აუმჯობესებს მცენარის გამძლეობას წყლის რესურსის შეზღუდულ პირობებში;
- ზრდის მცენარის მედეგობას სტრესული პირობების მიმართ;
- აუმჯობესებს ფოტოსინთეზის აქტივობას;
- ზრდის მოსავლის რაოდენობასა და ხარისხს.

გამოყენება	ხარჯის ნორმა	გამოყენების ჯერალობა
ფოთლიდან	250-350 მლ/100 ლ წყალზე	2-4 გამოყენება ვეგეტაციური ციკლის განმავლობაში (ყოველ 10-15 დღეში)
ფერტიგაცია	5-7 ლ/ჰა	2-4 გამოყენება ვეგეტაციური ციკლის განმავლობაში (ყოველ 10-15 დღეში)

ოსმოსური ძალა დასტიმულირებადი ძალა



იზრდება მცენარის გამძლეობა გვადლის დროს და ხელს უწყობს წლის შეთვისებას



იზრდება მტვრის სიცოცხლისუნარიანობა; იზრდება ნაყოფის გამონასკვის ხარისხი; იზრდება მოსავლის რაოდენობა.



იზრდება მცენარის ტურგორი, განსაკუთრებით ეფექტურია სასათბურე მეურნეობებში მაღალი ტემპერატურების დროს.

უნიბროტი

12.64% N + 3.52% ამინომჟავები + 23.07% CaO (წ/მ)



ბიოსტიმულატორი ამინომჟავების, აზოტისა და კალციუმის შემცველობით, რომელიც ხელს უწყობს ყვავილობის ერთდროულ წარმართვას.

- უნიბროტის გამოყენება არეგულირებს რეპროდუქციული და ვეგეტაციური კვირტების ფენოლოგიურ განვითარებას, რომელიც შეიძლება შეფერხდეს კვებითი ფაქტორების გამო;
- უნიბროტში შემავალი საკვები ელემენტებისა და ამინომჟავების სინერჯისტული მოქმედება ასტიმულირებს ისეთი კვირტების განვითარებასა და გაშლას, რომლებიც ბუნებრივ პირობებში კვებითი ფაქტორების ან მდებარეობის გამო ამას ვერ შეძლებდნენ;
- უნიბროტი ეხმარება მცენარეს კვირტების ერთდროულ გახსნაში, რაც უზრუნველყოფს ნაყოფის თანაბარ განვითარებას და მოსავლის რაოდენობის გაზრდას.

გამოყენება	გამოყენების დოზა
შესხურება კვირტების გახსნამდე; ვარგად დაასველეთ ხის მასა	ერთჯერადი დამუშავება მცენარის ვეგეტაციური ციკლის განმავლობაში. 4-7% -იანი წყალხსნარი (4-7ლ/100ლ წყალში) კვირტების გახსნამდე 45-15 დღით ადრე



კვირტების გაშლის ერთდროული წარმართვა



ფენოლოგიური ეტაპების ეფექტური წარმართვა, აუმჯობესდება რწყვის, საკვები და ფიტოსანიტარული პროდუქტების გამოყენების ეფექტურობა



ნაყოფის განვითარება მიმდინარეობს თანაბრად, შედეგად იზრდება მოსავლის რაოდენობა და ხარისხი





კოდავიტი



2.24% Cu + 2.56% Fe + 0.96% Mn + 0.64% Zn + ალუმინის ლიგნოსუფონატი (15.7% SO₃) (წ/მ)

ბიოსტიმულატორი მიკროელემენტებისა (Cu, Fe, Mn, Zn) და ლიგნინიდან (ორგანული პოლიმერები, რომლებიც ქმნიან მცენარის საყრდენი მასალის სტრუქტურულ ერთეულებს) მიღებული ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებებით.

- ბიოსტიმულატორი აუმჯობესებს და აძლიერებს მცენარის ჯანმრთელობასა და ხარისხს;
- ახასიათებს ორმაგი მოქმედება: როგორც ბიოსტიმულატორი ააქტიურებს მცენარეში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესებსა და მცენარის ფუნქციონირებას, პრევენციული- ააქტიურებს მცენარის თავდაცვით სისტემას, რაც ხელს უშლის გარკვეული პათოგენების გავრცელებას;
- პროდუქტის ამგვარი მოქმედება განპირობებულია ალუმინის ლიგნოსუფონატისა და მიკროელემენტების შემცველობით;
- პროდუქტში შემავალი ლიგნოსუფონატების მოქმედებით სუფთავდება მცენარის ჭურჭელ-ბოჭკოვანი სისტემა, შედეგად ფართოვდება საკვები ელემენტების გამტარი ზონა.

გამოყენება	გამოყენების ნორმა
 ფოთლიდან	200-400 მლ/100 ლ წყალში 1-3 გამოყენება ვეგეტაციური განვითარების განმავლობაში
 ფერტიგაცია	5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე 2-4 გამოყენება მცენარის ვეგეტაციის განმავლობაში

კრიოსი

0.28% N + 7.62% K₂O + 2.26% თავისუფალი ამინომჟავები + 113გ/ლ მანიტოლი (წ/მ)

ბიოსტიმულატორი კალიუმის, ოსმოლიტებისა და კრიოპროტექტორების შემცველობით.

- კრიოსი ზრდის მცენარის გამძლეობას და ამცირებს სააღრეო წაყინვით გამოწვეულ დაზიანებას (-3,5 °C-მდე);
- მისი ოსმორეგულაციური პოტენციური ამცირებს გაყინვის წერტილს, ხელს უშლის უჩრდშია კრისტალების წარმოქმნას, მემბრანის მთლიანობის დარღვევასა და უჩრდის სიკვდილს;
- პროდუქტში შემავალი მანიტოლი წარმოადგენს ბიოსტიმულატორული მოქმედების მქონე პოლისაქარიდს, რომელიც ოსმოლიტებთან ერთად მოქმედებით ზრდის მცენარეში წყლის შეკავების უნარს.

გამოყენების დოზა	
ყვავილობის/ნაყოფის გამონასკვის ფაზა; კარგად დასველეთ წაყინვისგან დასაცავი მცენარის ნაწილი	1ლ/100ლ წყალში ერთჯერადი გამოყენება მოსალოდნელ ყინვებამდე 24-48 საათით ადრე.



ოსმოლიტები ამცირებენ უჩრდის დეჰიდრატაციას



კრიოპროტექტორები ამცირებენ წყლის გაყინვის წერტილს და ხელს უწყობენ პლაზმური მემბრანის მთლიანობის შენარჩუნებას



ანტიოქსიდანტები ანეიტრალებენ თავისუფალ რადიკალებს



იზრდება მცენარის გამძლეობა წაყინვის მიმართ, რაც უზრუნველყოფს ყვავილობისა და ნაყოფის გამონასკვის გაუმჯობესებას



უზრუნველყოფს უჩრდის ფუნქციონირებას და იცავს მას წყლის დაკარგვისგან




წაყინვისგან ნაკლები ორგანოსა და ქსოვილის დაზიანების გზით იზრდება მოსავლიანობა და მოგება



უკეთესი ეფექტურობისთვის





პროდუქცია

ტემპერ pH —
კოდადექს Pg —
e-კოდადექს K —
კოდაფოსი K —
სტენოსი —

ფოთოლზე შესხურებით შესატანი პრეპარატები ეფექტურობისთვის

პრეპარატების ეს ჯგუფი უზრუნველყოფს ფოთოლზე შესხურებით შესატანი სასუქებისა და ფიტოსანიტარული (მცენარის მავნებლებისგან და დაავადებებისგან დამცავი) პროდუქციის ეფექტურობას. გავლენას ახდენს მუავიანობასა და ისეთ ფიზიკო-ქიმიურ თვისებებზე, როგორებიცაა: ფოთლის ზედაპირზე გამლა, მიწების უნარის გაზრდა და ა.შ.


ტემპერ pH

19.8% K₂O + პოლიკარბოქსილური ორგანული მჟავები (წ/მ)



კალიუმის ხსნარი პოლიკარბოქსილური ორგანული მჟავებით, წყლის მუავიანობის დასარეგულირებლად.

- ფოთლიდან შესხურების გზით, ყველა ტიპის კულტურაში, აუმჯობესებს საკვები ნივთიერებების, ბიოსტიმულატორებისა და აგროქიმიკატების მდგრადობას, შელწვევადობასა და ეფექტურობას;
- არეგულირებს საშუალო ხსნარის მუავიანობის დონეს;
- ამცირებს სიხისტის გამომწვევი მარილების კონცენტრაციას (კალციუმის და მაგნიუმის კარბონატები და ბიკარბონატები), რომლებიც შეიძლება რეაქციაში შევიდნენ აგროქიმიკატებთან და შეამცირონ მათი ეფექტურობა.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	50-100 მლ/100ლ საშუალო ხსნარში

კოდადექს Pg


20% ადვიდ პოლიგლიკოლის ეთერი



კოდადექს Pg წარმოადგენს დამატენიანებელ პრეპარატს ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებისა და დამხმარე ნივთიერებების ფუძეზე.

პრეპარატი ხასიათდება სამმაგი ეფექტით, მოქმედებს როგორც: მიმწებებელი, დამატენიანებელი, გამშლელი (ზედაპირული დაჭიმულობის დამწვევი). მისი გამოყენება შესაძლებელია ყველა ტიპის მცენარეზე ფიტონასინტარულ პროდუქტებთან ერთად. შეტანა ხდება ფოთლიდან.

- სხვა აგროქიმიკატებთან ერთად გამოყენების შემთხვევაში, აძლიერებს მცენარის ზედაპირიდან მათი შეწოვის უნარს და შედეგად ზრდის პროდუქტის ეფექტურობას;
- რეკომენდებულია მაშინ, როდესაც ყველა ფოთლის თანაბრად დასველება ვერ ხერხდება. ასევე გამოიყენება ცვილოვანი ზედაპირის მქონე კულტურებში.

გამოყენება	გამოყენების დოზა
 ფოთლიდან	10 მლ/100ლ საშუალო ხსნარში
ინსექტიციდებთან და ფუნგიციდებთან ერთად	50 მლ/100ლ საშუალო ხსნარში
ჰერბიციდებთან ერთად	50 მლ/100ლ საშუალო ხსნარში



მცენარის იმუნიტეტის გამაძლიერებელი

პროდუქტები ორგანული ნაერთებისა და საკვები ელემენტების შემცველობით, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც მცენარის გამოკვებას, ასევე მის დაცვას მავნებლებისა და დაავადებებისგან.

სტენოსი

2,17 % CaO + კომპლექსური აგენტი: დიმონშაგა (5/მ)



სტენოსი წარმოადგენს კომპლექსური კალციუმისა და სხვა ანტიოქსიდანტების შემცველობის სუსპენზიურ ემულსიას (სე) ფოტოდამცველი ეფექტით (276,4 გ/ლ). ის არის შემუშავებული ნაყოფის დასაცავად მზის სხივების გადაჭარბებული ზემოქმედებისგან.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	250 მლ/100 ლ წყალში ერთ შეტანაზე. 1-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
ფერტილიზაცია	5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე. 2-4 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში

- ორგანული მზისგან დამცავი ნივთიერებებისა და ანტიოქსიდანტების შემცველობით სტენოსი ამცირებს ნაყოფის ზედაპირის მიერ მზის რადიაციის აბსორბციას, შედეგად ამცირებს ნაყოფის ზედაპირის ტემპერატურას და მზის დამწვრობას;
- ამცირებს მოსავლის დაკარგვის ან მისი ხარისხის გაუარესების რისკს, რასაც იწვევს მზის სხივების ჭარბი რაოდენობით მიღება;
- პრეპარატის სინერგიული მოქმედება კალციუმთან ზრდის უჯრედის კედლის სტაბილურობას, შედეგად იზრდება მცენარის მედეგობა სხვადასხვა ტიპის ბიოტური და აბიოტური (მგ: თერმული) სტრესის მიმართ;
- ამცირებს კალციუმის ნაკლებობით გამოწვეულ გიზუალურ გამოვლენას.



- მზისგან დამცავი// არაორგანული ნივთიერებები
- მზის ფილტვები// ორგანული ნივთიერებები
- ანტიოქსიდანტები// ბიოლოგიური



ეფექტურობა: პროდუქტის მაღალი ეფექტურობა და დასტურებულია ცდებით



ნაყოფის დაცვის სამმაგი მოქმედება



მარტივი გამოყენება



უსაფრთხო: არ ტოვებს ნაყოფზე ნაშთებს

ი-კოდალეო K



50% ცხიმოვანი მჟავების კალიუმის მარილები (5/მ)



ცხიმოვანი მჟავების კალიუმის მარილი, რომელიც მცენარეებიდან აშორებს სუსტი ზედაპირის მქონე მავნებლებს, მაგალითად: ბუგერებს, ფრთათეთრას, კოშენილს, ა.შ.

- აქტიური ნივთიერებები აღწევენ და შლიან მწერის უჯრედის გარსს, რაც საბოლოოდ იწვევს მავნებლის სიკვდილს;
- შეიცავს მავნებლების საწინააღმდეგო ქიმიური სტრუქტურის მქონე ცხიმოვან მჟავებს. ლიპოფილური ნახშირბადოვანი ჯაჭვი ადვილად შეიწოვება და შლის მწერების ლიპოპროტეინულ შრეს, მემბრანას, რაც იწვევს მწერის დასუსტებას საბოლოოდ კი სიკვდილს;
- პრეპარატი შეიცავს ცხიმოვან მჟავებს ოპტიმალური ჯაჭვის სიგრძით ინსექტიციდური მოქმედებისთვის.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	500-1000 მლ/100 ლ ერთ შეტანაზე შეტანის სიხშირე დამოკიდებულია მავნებლების გავრცელების ინტენსივობაზე

(გაბოიყანაბა აკოლოგიურ მიხათოოქადაააში)

კოდაფოსი K

42% P₂O₅ + 28% K₂O (5/მ)



ფოსფორითა და კალიუმით მდიდარი (700გ/ლ) პროდუქტი, რომლის სისტემური მოქმედება განპირობებულია კალიუმის ფოსფიტის შემცველობით.

- მისი კონკრეტული ფუნქცია არის მცენარის ბუნებრივი თავდაცვითი სისტემის გაძლიერება კრიპტოგამიული (სპოროვანი) დაავადებების წინააღმდეგ, როგორცაა: ფესვების ღბობა და ღეროს დაავადებები -ფიტოტორა და პითიუმი;
- მცენარის აქტიური ზრდის პერიოდში, ყვავილობისას და ნაყოფის გამონასკვისას, წარმოადგენს დამატებითი კვების წყაროს.

გამოყენება	გამოყენების დოზა
ფოთლიდან	250 მლ/100 ლ წყალში ერთ შეტანაზე. 1-3 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში
ფერტილიზაცია	5 ლ/ჰა ერთ შეტანაზე. 2-4 გამოყენება ვეგეტაციის განმავლობაში



coda

მორგებული თქვენს კულტურაზე



Sustainable Agro Solutions, S.A.

t. (34) 973 74 04 00 / info@sas-agri.com



sas-agri.com

BeSAS



ბაიზიარე გამოცდილება და განამტკიცე
ღირებულებები ჩვენთან ერთად!

პროდუქტის სახელმძღვანელო

კომპონენტების ზუსტი ცხრილი



ნიადაგის გაუმჯობესება

პროდუქტია	EHT	ჰუმუსური მჟავები	ფუღვო მჟავები	ორგანული მჟავები	N	P ₂ O ₅	K ₂ O	CaO	MgO	SO ₃	Fe	Mn	Zn	Cu
კოდასად პრემიუმი								17.5						
კოდასად ბერი								14.0	2.8					
ნუმატრიკი				45.2				2.4	1.1					
კოდაჰუმუს 20		22.8	11.3	11.5			3.6							
კოდაჰუმუს PK		20.3	11.4	8.9		8.9	15.2							
კოდაბუსტერი		16.35	13.08	3.27			3.16							
კოდაჰუმუს S80		80.0	76.0	4.0			12.0							
კოდაჰუმუს SG		70.0	64.0	6.0			10.0							
კოდარგონი					36.0			2.8	1.2					
ი-კოდარგონი					35.7			2.7						
კოდასუდ pH					22.8					60.8	0.03		0.01	



აკვება

პროდუქტია	ამინო-მჟავები	N	P ₂ O ₅	K ₂ O	CaO	MgO	SO ₃	Fe	Mn	Zn	B	Cu	Mo	კომპლექსური აგენტი
კოდაფოდ N33		33.0							0.06	0.06		0.13		EDTA
კოდაფოდ 14-6-5		17.0	7.3	6.1				0.12	0.06	0.06		0.06	0.001	EDTA
კოდაფოდ P54			85.0											
კოდაფოდ K30				45.0										
k·mad	7.0	1.26		36.0										
კოდაფოდ K35 მჟავა				35.0										
კოდაფოდ 4-16-28		4.2	16.8	28.0							0.28		0.02	
კოდაფოდ 13-13-13		13.1	13.1	13.1										
კოდაფოდ მაქსიმუსი 8-11-3	10.66	10.4	14.3	3.9		0.39			0.98	0.68	0.14			
კოდა-Ca-L - დიგნოსუდონატი					10.8									დიგნოსუდონატი
კოდა-Mg-L - დიგნოსუდონატი						8.4								დიგნოსუდონატი
კოდადაკ ბორი - დიგნოსუდონატი					10.4						0.5			დიგნოსუდონატი
კოდაბორი - მონოეთანოლამინი											14.0			მონოეთანოლამინი
კოდა-Mn-L - დიგნოსუდონატი									10.6					დიგნოსუდონატი
კოდა-Zn-L - დიგნოსუდონატი										10.4				დიგნოსუდონატი
კოდა-Cu-L - დიგნოსუდონატი												6.0		დიგნოსუდონატი
კოდა-Fe-L - დიგნოსუდონატი								6.1						დიგნოსუდონატი
ნუმაფერი								6.0						დიგნოსუდონატი
კოდაქვედი - დიგნოსუდონატი									4.5	4.5				EDTA
ნუმამიქსი								6.5	4.6	3.0		0.3	0.4	
კოდაციტრონი - დიგნოსუდონატი							13.4	2.5	2.5	2.5				დიგნოსუდონატი
კოდაპორტი - დიგნოსუდონატი						2.17	11.8	2.48	1.24	1.24	0.24	0.12	0.02	დიგნოსუდონატი



სტიმულაცია

პროდუქცია	ორგანული ნივთიერება	ამინომჟავები	წყალმცენარეთა ექსტრაქტი	პოლისაქარიდები	N	P ₂ O ₅	K ₂ O	MgO	Fe	Mn	Zn	B	Cu	Mo	CaO	ხელატური /კომპლექსური აგენტი
კოდამინ 150		15,9							2.4	0.7	0.4					
დადკონი		10.16			3.5		2.6		2.5							
დადგინი		6.7	22.4		1.4											
e-დადგინი			100													
კოდასტინგი		13.4	10.1		8.1											
ტრიპტონ TL		12.8	6.4		3.6										9.6	
ტრიპტონ TC		24.9	6.2		3.7	7.4	0.3				0.4					
კოდამინი რადიკულარი			5.7		3.3	11.2	4.0									
კოდამინი მიკრორადიკულარი			5.1		1.2				3.6	1.2	1.2					
რადამაქს +			5.1		3.7	11.1	4.1									
დადგინ H15		17.5	2.0	6.7			4.2									
დადგინ Mg				6.2				6.1				1.2		0.1		
კოდან პდასი			6.6		2.5	9.3	12.4					1.3		0.1		
კოდამინ B-Mo			12.3									6.4		0.2		
კოდამოდი - დიგნოსუდფონატი			2.3		3.4	11.6						0.2		3.4		ლიგნოსუდფონატი
ფრუტიმაქსი 10			11.5	9.4	3.4		1.9					1.1		0.11		
კოდაბრიქსი					16.2		25.3									
კოდავიტი									2.56	0.96	0.64		2.24			
დადგინ აქტივი			6.78	22.6	1.43											
უნიბროტი			2.8		10.64										17.78	
ოსმოპდანტი			6.63		2.65		3.7									
კრიოსი																



უკეთესი ეფექტურობისთვის

პროდუქცია	ცხიმოვანი მჟავების კალიუმის მარილი	P ₂ O ₅	K ₂ O	აღვივ პოლიგლიკოლის ეთერები	CaO
ტემპერ pH			19.8		
კოდადექს Pg				20.0	
e-კოდადექს K		50.0			
კოდაფოსი Kც		42.0	28.0		
სტენოსი					2.11

თესლიდან შესატანი პროდუქტი

ორგანული სოფლის მეურნეობა
ახალი პროდუქტი

ფოთლიდან კვება
ფერტიგაცია

პროდუქტი ექსტრაქტით
ამინო მჟავების შემცველი პროდუქცია

ჩვენი მაღალკვალიფიციური ტექნიკური გუნდი ყოველთვის მზადაა თქვენს დასახმარებლად, რათა შეარჩიოს სწორი სტრატეგია თქვენი ინდივიდუალური მდგომარეობის, პრობლემისა და საჭიროებების გათვალისწინებით - ჩვენი მთავარი მიზანი თქვენი მოსავლისა და მისი ხარისხის მაქსიმალური გაზრდაა.



SAService



დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ
კარტლის აგროსისტემების სპეციალისტებს

www.cartlis.ge; ტელ: (032) 244 55 42; info@cartlis.ge



Sustainable Agro Solutions, S.A.

Ctra. N-240, Km.110 - 25100 Almacelles - Lleida - Spain (34) 973 74

04 00 info@sas-agri.com

www.sas-agri.com

